იესო ქრისტე ჩვენი მხსნელია

„სხვაში არავიში არ არსებობს ხსნა, არც არის ცის ქვეშ ხალხისათვის მიცემული სხვა სახელი, რომლითაც გადავრჩებით“

— საქ. 4:12



ბიბლიაში ლაპარაკია ღმერთის სასამართლოს შესახებ ქალაქებზე, რომელთა მცხოვრებლებმაც არ ისურვეს დამორჩილებოდნენ მის სიტყვას (იხ. მათე 10:15,11:22-24, მარკ. 6:11, ლუკა 10:12-14) იმ ქალაქის მცხოვრებლებსაც, სადაც შენ ცხოვრობ, მოუწევთ ანგარიშის ჩაბარება ღმერთისადმი იმაზე, თუ როგორ ეპყრობოდნენ სიტყვას, რომელიც იქადაგებოდა ღმერთის მსახურთაგან მათთვის.

მხსნელი მხოლოდ ერთია

ძვირფასო მეგობარო, 'ხარ დახსნილი შენ? დახსნის შესახებ გვაუწყებს ბიბლია. დახსნა ადამიანისაგან არ არის მოგონილი.

პირველ რიგში ადამიანი უნდა დარწმუნდეს, რომ ღმერთი ერთია, ჭეშმარიტებაა და მის მძებნელს უყურადღებოდ არ სტოვებს. სულის დახსნა მხოლოდ ღმერთს შეუძლია, რომლის შესახებაც მოგვითხრობს ბიბლია, მისი სახელია იესო ქრისტე. მოციქულთა საქმე'ში 4:12 ჩვენ ვკითხულობთ: „სხვა'ში არავის'ში არ არსებობს ხსნა, არც არის ცის ქვეშ ხალხისათვის მიცემული სხვა სახელი, რომლითაც გადავრჩებით." დახსნას ადამიანი ღებულობს უსასყიდლოთ, მიანდობს რა მთლიანად საკუთარ ცხოვრებას იესოს. შენ არ შეგწევს ძალა საუკუნო სიცოცხლის „დამსახურებისათვის". მინდობა - რწმენაა. რწმენა უნდა მომდინარეობდეს გულიდან და არა გონებიდან.

პლატონი, არისტოტელე, ეინშტეინი უდიდესი მოაზროვნენი იყვნენ, მაგრამ ცხოვრების ისეთი საკითხების გადაწყვეტა, როგორებიცაა: ავადმყოფობა, ტკივილი, შიმშილი და სიკვდილი, საუკუნო სიცოცხლის საიდომლოება'ში შეღწევა'ზე რომ არაფერი ვთქვათ, არ შეეძლოთ. ღმერთმა იცოდა, რომ ყველა ეს პრობლემები დადგებოდა ჩვენს წინაშე ამა მიწიურ ცხოვრება'ში, და ამიტომ თავის სიტყვა'ში (ბიბლია'ში) მოგვცა ყველა ამ კითხვის პასუხი.

ყველაჟ შესცოდა

შეგიცოდავს კი როდისმე? თუნდაც ერთხელ? ერთხელ მაინც არ მოგიპარავს ან არ მოგიტყუილებია? ეს საკმარისია იმის სათქმელად, რომ „ყველამ შესცოდა და მოკლებულნი არიან ღვთის დიდებას" (რომ. 3:23). დახსნა და პატიება ცოდვისგან, შეგიძლია მოიპოვო იესო ქრისტესადმი რწმენით. უპატიებელი ცოდვილი ცოდვებში მოკვდება და ვერ შეძლებს ცათა სასუფეველში შესვლას, რადგან დაწერილია: „ვერ შევა მასში ვერავითარი უწმინდური" (გამოცხ. 21:27). შენ ყოველდღიურად სცოდავ და ტვირთი უფრო და უფრო მძიმდება. „რა გავაკეთო?" - იკითხავ შენ. მათეს სახარებაში 11:28 ჩვენ ვპოულობთ პასუხს ამ კითხვაზე: „მოდით ჩემთან, ყოველნო მაშრალნო და ტვირთმძიმენო, და მე მოგასვენებთ თქვენ". იცი შენ ვინმე ადამიანთა შორის, ვინც შესძლებდა ამ სიტყვების თქმას? რა თქმა უნდა არა! ასე შეიძლებოდა ეთქვა მხოლოდ იესო ქრისტეს!

ჩვენს ძარღვებში ჩქეფს ჩვენი წინაპრის - ადამის სისხლი. ჩვენ ცოდვებში ვართ გაჩენილი. ბიბლია ამის შესახებ გვეუბნება რომაელთა მიმართ წერილის 5:12: „როგორც ერთი ადამიანის მიერ ცოდვა შემოვიდა წუთისოფელში, ხოლო ცოდვის მიერ - სიკვდილი, ასევე სიკვდილი გადავიდა ყველა ადამიანში იმიტომ, რომ ყველამ შესცოდა". ახლა შენ იცი შენი ცოდვილიანობის შესახებ და რომ შენ უნდა მოკვდე.

ცოდვის პრობლემის გადაწყვეტა

იესო ქრისტეს ჩასახვა მოხდა არაჩვეულებრივი გზით. მათეს სახარებაში 1:20 ნათქვამია: „ვინაიდან ის, ვინც მასშია ჩასახული, სულიწმიდისაგან არის". ეს ნიშნავს, რომ იესო ქრისტე - ღმერთის ძეა. მის ძარღვებში სჩქეფს ღვთაებრივი სისხლი. ბიბლია ამბობს: „სისხლის დაღვრის გარეშე არ ხდება მიტევება". (ებრ. 9:22) ჩვენი სისხლი წახდენილია ისე, რომ იგი არა შეიძლება დაიღვაროს ცოდვათა მისატევებლად. მხოლოდ ქრისტეს დაღვრილ

სისხლს შეუძლია გაგვწმინდოს ჩვენი ცოდვებისაგან იმისათვის, რომ იგი უცოდველია, და როგორც აღმოსავლეთია შორს დასავლეთისაგან, ასე გაგვაშორა მან ჩვენ ჩვენი ცოდვები. გსურს კი შენ მიიღო ეს სასიამოვნო ამბავი?

ერთადერთი ცოდვა

ძვირფასო მეგობარო! ადამიანები მიდიან ჯოჯოხეთში არა იმისათვის, რომ მათ შესცოდეს, არამედ იმისათვის, რომ მათ უგულებელყვეს იესო ქრისტე, მათი ცოდვების გულისთვის გარდაცვლილი ჯვარზე. ბიბლია ამბობს: „ვისაც ის სწამს, არ განიკითხება, ხოლო ვისაც არ სწამს, უკვე მსჯავრდადებულია, რადგან არ ირწმუნა ღვთის მხოლოდშობილი ძის სისხლი" - (იოან. 3:12) ღმერთმა იცის, რომ შენ ცოდვილი ხარ, მაგრამ მას უყვარხარ შენ და იგი მოკვდა შენთვის. სულის დახსნა - ეს ზებუნებრივი მოვლენაა ღმერთსა და ადამიანს შორის. მიენდე ქრისტეს, მიიღე იგი შენს გულში, როგორც პირადი მხსნელი, მიმართე ღმერთს ლოცვით: „ღმერთო, მე ვგრძნობ ჩემს დანაშაულს შენს წინაშე და მწამს, რომ შენ მოკვდი ჩემთვის. მე გიებულობ შენ როგორც პირად მხსნელს და მთლიანადად გენდობი შენ!"

„ხოლო ვინც კი მიიღო იგი და ირწმუნა მისი სახელი, მისცა მათ ხელმწიფება ღვთის შვილად გახდომისა" - (იოან. 1:12)

FELLOWSHIP TRACT LEAGUE
P.O. BOX 164 • LEBANON, OH 45036
www.fellowshiptractleague.org © Tract 3510 (Georgian)
All tracts free as the Lord provides. Not to be sold.